ხელშეკრულება საქონლის სახელმწიფო
შესყიდვების შესახებ **№ 33**

ქ. ახმეტა 17 თებერვალი 2023 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია, მისი მერის ალექსი ფიცხელაურის სახით, (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ სს ელიტ ელექტრონიქსი (შემდგომში "მიმწოდებელი"), დირექტორის ლადო ჯობავას სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშკრულებას (შემდგომში- ხელშკრულება) შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი
ხელშეკრულების საგანია: **კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები - პროცესორი პერსონალური კომპიუტერისთვის (CPV კოდი 30200000; 30213400)** ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება გამარტივებული მეთოდით.

2.ხელშეკრულების ობიექტი
"მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს "შემსყიდველს" დაკვეთილი საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი
3.1. საქონლის მიწოდების თარიღად ითვლება **17.02.2023-10.03.2023** წ.
/რიცხვი, თვე, წელი/
3.2. საქონლის მიწოდების ადგილი ქ. თელავი.

4.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
4.1.შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს "მიმწოდებელი".
4.3. "შემსყიდველი" ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს "მიმწოდებელს" საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

5.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
5.1."შემსყიდველი" ვალდებულია გადაუხადოს "მიმწოდებელს" შეთანხმებული ფასი; მიიღოს გაწეული მომსახურება
5.2. "შემსყიდველს" უფლება აქვს: გაუუქმოს "მიმწოდებელს" გაწეული მომსახურება, თუ მისი ხარისხი არ შეესაბამება სტანდარტებს.
5.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია:
გადასცეს "შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი დადგენილ ვადებში; დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
5.4."მიმწოდებელს" უფლება აქვს: მოსთხოვოს "შემსყიდველს" ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი.

6.ხელშეკრულების საერთო ღირებულება

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **1400 (ათას ოთხასი) ლარს.**
/ფასდათმობების, გადასახადების, ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით/

7. ფასები

ამ მუხლში აისახება ის შემთხვევები,როდესაც დასაშვები იქნება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების გადასინჯვა (მაგ. ინფლაციის მაღალი დონე, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილება, საგადასახადო რეჟიმის შეცვლა და სხვა). გარდა ამისა, უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ფასის ცვლილებების მაქსიმალურად დასაშვები ზღვარი და ყოველ კონკრეტულ გარემოებასთან მიმართებაში ცვლილებების გაანგარიშების წესი.

8. ანგარიშსწორების პირობები

8.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: გადარიცხვა.
8.2. ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი) საქონლის მიღებამდე.
8.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ინვოისი.
8.4. წინასწარი ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ინვოისი.
8.5 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

9.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისთვის "მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,02 პროცენტის ოდენობით ყოვლ ვადაგადაცილებულ დღეზე.
9.2.იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, "შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. ფორს-მაჟორული სიტუაციები

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა მოვლენები, აგრეთვე ომები და სხვა საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
10.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
10.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.
10.4. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11.ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ყოველდღიურ კონტროლს ადგილზე "შემსყიდველის" მხრიდან ახორციელებს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის **მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი გიორგი ხარიტონაშვილი.**

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს წესით.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია **2023 წლის 31 აგვისტომდე.**

/მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, თუ შეუძლებელია მითითებული იქნეს კონკრეტული ვადა/

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14.2. ხელშეკრულებით დაფიქსირებული ფასის ყოველი შეცვლა მხარეების მიერ ფორმდება დოკუმენტალურად.

14.3. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება - ჩაბარების აქტით, ხელშეკრულების მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

15.მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია
საიდენტიფიკაციო კოდი: 224631165
მისამართი: ქ. ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქ. 49

საბანკო რეკვიზიტები:
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი - TRESGE22
სახაზინო კოდი - 3005400000

_____

წარმომადგენელი

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერი
ალექსი ფიცხელაური

Aleksi Pitskhelauri
Digitally signed by Aleksi Pitskhelauri
Date: 2023.02.17 12:20:16 +04'00'

მიმწოდებელი

სს ელიტ ელექტრონიქსი
საიდენტიფიკაციო კოდი: 202268928
მისამსართი:ქ.თელავი აღმაშენებლის და ალაზნის ქუჩის კვეთა
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის დასახელება: ს.ს. თიბისი ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE69TB0600000120467205
ტელ: +995 32 48 48 48
E-mail: GroupShopTelavi@elitelectronics.ge

_____

წარმომადგენელი

დირექტორი
ლადო ჯობავა

JSC Elit Electronics
Digitally signed by JSC Elit Electronics
Date: 2023.02.21 16:44:29 +04'00'